*დანართი N1*

**განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური**

**ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა**

| | |
|---|---|
| **დაწესებულების დასახელება** | ონის მუნიციპალიტეტის მერია |
| **პირველადი სტრუქტურული ერთეული** | განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური |
| **მეორადი სტრუქტურული ერთეული** | ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება |
| **თანამდებობის დასახელება** | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი |
| **უშუალო დაქვემდებარებაშია (თანამდებობის დასახელება)** | განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი |
| **სამუშაო გრაფიკი (განაკვეთი, დაწყება, დამთავრება, შესვენება) და სპეციფიკური პირობები** | სრული განაკვეთი, სამუშაო დრო: 09:00 - 18:00, შესვენება 13:00 – 14:00 |

| **ფუნქციები (მოვალეობები)** |
|---|
| ახორციელებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების საქმიანობის მართვას, კოორდინაციას და ზედამხედველობას |
| შემოსული განცხადების/ინფორმაციის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ, ბავშვის მდგომარეობის შესწავლისა და სიტუაციური ანალიზის დოკუმენტის შემუშავების ვალდებულების განსაზღვრის შესახებ |
| უზრუნველყოფს საქმისწარმოებაში ბავშვის ფსიქოლოგის, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტის და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტის ჩართვას |
| ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას ჩაღრმავებული (მეორადი) შეფასების განხორციელების თაობაზე და უზრუნველყოფს მასში შესაბამისი მოწვეული სპეციალისტის/ ექსპერტის მონაწილეობას |
| ამტკიცებს ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ სკრინინგის, პირველადი და ჩაღრმავებული შეფასების საფუძველზე შემუშავებულ სამოქმედო გეგმას და უზრუნველყოფს მის შესრულებას, მერიის შესაბამის პირველად სტრუქტურულ ერთეულთან, სახელმწიფო ორგანოებთან ან/და კერძო პროვაიდერებთან თანამშრომლობით |
| იღებს გადაწყვეტილებებს ინსპექტორის მიერ გეგმიური კონტროლის ორგანიზების, მომზადებისა და ჩატარების შესახებ |
| საქართველოს ადმინისტრაციული სამართლებრივი კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახდენს სახდელის შეფარდებას ან უგზავნის სამართალდარღვევის ოქმს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე  უფლებამოსილ ორგანოს |
| ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების მიზნით, ახდენს შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევას, ხელშეკრულებების დადებას და შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის პროცესში მხარდაჭერას |

| **კომპეტენციები და უნარები** |
|---|
| 1. ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკების წარმართვის უნარი;<br>2. სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;<br>3. სტრუქტურული ერთეულისა და ინდივიდუალური ამოცანების დასახვის უნარი;<br>4. ცვლილებების/სიახლეების ინიცირების და მართვის უნარი;<br>5. პროექტების მართვის უნარი;<br>6. თანასწორობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვის უნარი;;<br>7. მოხელის პროფესიული განვითარების, შეფასებისა და მოტივირების უნარი;<br>8. სიზუსტესა და დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი;<br>9. პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი. |

**ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა**

| | |
|---|---|
| **დაწესებულების დასახელება** | ონის მუნიციპალიტეტის მერია |
| **პირველადი სტრუქტურული ერთეული** | განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური |
| **მეორადი სტრუქტურული ერთეული** | ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება |
| **თანამდებობის დასახელება** | II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი) |
| **უშუალო დაქვემდებარებაშია (თანამდებობის დასახელება)** | ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი |
| **სამუშაო გრაფიკი (განაკვეთი, დაწყება, დამთავრება, შესვენება) და სპეციფიკური პირობები** | სრული განაკვეთი, სამუშაო დრო: 09:00 - 18:00, შესვენება 13:00 – 14:00 |

| **ფუნქციები (მოვალეობები)** |
|---|
| ახორციელებს ბავშვის მდგომარეობის შეფასებას, ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით |
| შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე და კოორდინაციას უწევს სამოქმედო გეგმის აღსრულების პროცესს, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილ სუბიექტებთან თანამშრომლობით |
| უზრუნველყოფს ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით დადგენილი მომსახურებებისადმი ბავშვის ხელმისაწვდომობას |
| საქმისწარმოების ერთიანი სისტემის გამოყენებით, მონიტორინგს უწევს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების პროცესს და ადგენს ანგარიშს |
| საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი, კულტურისა და სასპორტო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და სხვა, ბავშვის თემებზე მომუშავე დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების თაობაზე |
| ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, ახორციელებს ვიზიტს ოჯახში/ბავშვის განთავსების ადგილზე |

| |
|---|
| თუ შეფასების შედეგად დადგინდა, რომ საქმე ეხება გადაუდებელ მდგომარეობას, დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს; გადაუდებელია მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან, შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, მომდევნო 24 საათის განმავლობაში |

| **კომპეტენციები და უნარები** |
|---|
| 1. ანალიტიკური აზროვნება |
| 2. გუნდური მუშაობის უნარი; |
| 3. დამოუკიდებელი მუშაობის უნარი |
| 4. ეფექტური კომუნიკაციის უნარი |
| 5. დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი |
| 6. პრობლემების გადაჭრის და კონფლიქტების მართვის უნარი |
| 7. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი |
| 8. ცვლილების ინიცირების და მართვის უნარი |